

ჯიულოვანი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№3 (86) აპრილი-ივნისი 2018 წელი

წმ. კვირიკე დვინელი

„ჰუმანიტარული აღზრდა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარება“

საჯდგომო გამოფენა

უკვდავებამისჯილნი



„ჰუმანიტარული აღზრდა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარება“

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის პირველი თავმჯდომარის, საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, აწ განსვენებული სვეტლანა ქეცბასადმი მიძღვნილი კონფერენცია „ჰუმანიტარული აღზრდა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარება“ 2018 წლის 30 მარტს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში ჩატარდა და მისი იდეა საქართველოში ჩეხეთის სათვისტომო „ზლატა პრაღას“ ეკუთვნის. კონფერენცია გახსნა ცენტრის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ირინა ქეცბამ. მან ისაუბრა სვეტლანა ქეცბას როლზე ცენტრის ჩეხეთის სათვისტომოსთან მჭიდრო ურთიერთობის საკითხში, მის მნიშვნელობაზე აფხაზეთის მუსიკალური კულტურის პროპაგანდის საქმეში, ცენტრის ფუნქციის მომავალშიც ეფექტურად წარმართვის შესახებ.

„ზლატა პრაღას“ პრეზიდენტმა ჰაროლდ შმალცელმა ყურადღება გაამახვილა აქტუალურ თემებზე თანამედროვე მსოფლიოში, როგორიცაა საზოგადოების ჰუმანიტარული აღზრდა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარება. ასევე, განაცხადა, რომ კონფერენცია წარმოადგენს ცენტრისა და საქართველოში ჩეხეთის სათვისტომო „ზლატა პრაღას“ ერთობლივი მუშაობის გაგრძელებას. დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, ამ დიდი მამულიშვილის, როლი ქართულ-აფხაზური მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება-გაღრმავებაში, მისი ზრუნვა აფხაზეთის მკვიდრთა სულიერი და კულტურული განვითარებისათვის, მისი ღვაწლი საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დაახლოებისა და თანაცხოვრების საქმეშია ფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ, თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ბიძინა გუნიამ.

კონფერენცია დასრულდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიასა და მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველ პეტრე კანკავას გამოსვლებით.

კონფერენციაზე ქართულ-ჩეხური მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორების გულიკო კარიაულისა და ლალი სანიკიძის აღსაზრდელებმა.

უჭეშდაჭებანჯისჯილნი

„უფალო, დილა იწყება ლოცვით,
საკურთხეველთან გაშლილი წიგნით,
მკერდზე ამბორით და ხელზე კოცნით,
შენზე, მამულზე, ზეკაცზე ფიქრით.“
გენო კალანდია

„პატარა არ ეთქმის ერს“, რომელმაც ისტორიის ქარცეცხლს გაუძლო, უმძიმეს ეპოქებში გამოიარა, ყველაფერი გაიღო იმისთვის, რომ რწმენა და მამული არ დაეკარგა. დიდი იმპერიების წინაშე იომა და, ხშირ შემთხვევაში, გამარჯვებით გამოვიდა სისხლიანი ბრძოლის ველიდან და რომელიც „ქრისტჱს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არ განეშორა მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“ (იოანე საბანისძე, „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი“).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატ რაისა ქარაიას ვახლდი, როდესაც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრიდან დარეკეს და მოგვიწვიეს რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის ისტორიულ-ბიოგრაფიულ ფილმ „ექვთიმე ღვთისკაცის“ ჩვენებაზე კინოთეატრ „ამირანში“, ექვთიმეს როლში - გერმანიაში მოღვაწე ცნობილი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი, ნინო პოლტორაცკაია - ანა წერეთელი.

უცნაურად დაემთხვა იმ დღეს 24 დღის განმავლობაში ნაწამები გმირის არჩილ ტატუნაშვილის და 24 წლის ნალოლიავები საგანძურის შინმობრუნების ისტორიები. ეს იყო უღალატობის, გაუტეხლობისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითები, უფრო მეტიც, ექვთიმე თაყაიშვილის საქმე არის გაკვეთილი და აუცილებლად გასათავისებელი სასწაული.

აფხაზეთიდან ხიზანი თითოეული ქართველის გულში უნდა ბუდობდეს ექვთიმე ღვთისკაცი, რათა გაღმა ნაპირიდან წამოღებული საგანძური, მორდუობა-ძიძიშვილობის, ურთიერთსიყვარულისა და წინაპართა ტრადიციების სახით, შინ უზადოდ და შეუბღალავად დავაბრუნოთ.

და ბოლოს, უდიდესი მადლობა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს ასეთი საოცარი საჩუქრისათვის.

ელისო პაჭკორია

თეატრალური სოხუმი გუშინ, დღეს, ხვალ

გთავაზობთ 2018 წლის 4 მაისს ცენტრის ოფისში გამართული შეხვედრიდან მწერალ გურამ ოდიშარიას, მსახიობ გიორგი რატიანისა და რეჟისორ დავით კობახიძის გამოსვლებს.

გურამ ოდიშარია

- მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი სადაც დაირწა, საბერძნეთში, ერთ-ერთი პირველი იყო თეატრი. რა თქმა უნდა, თეატრი სათავეს ლიტერატურიდან იღებს და ის ქალაქი, სადაც თეატრია, სხვანაირი ქალაქია. ის, ვინც თეატრში დადის, სხვა ქცევებს ითვისებს, სხვანაირი ხდება. სოხუმში სამოყვარულო თეატრები 1885 წლიდან იხსენიება, რომლებიც დგამდნენ კლასიკოსების ნაწარმოებებს, ხოლო პროფესიული თეატრი უკვე 1928 წლიდან არსებობს ცნობილი რეჟისორებით და მსახიობებით. ერთ-ერთი პირველი „ჰერეთის გმირები“ დაიდგა. მერე იყო ომი, რომელსაც ბევრი მსახიობი შეეწირა და მერე აღორძინების პერიოდი. სოხუმის თეატრს ჰქონდა თავისი პერიოდები და ყველა მათგანს ჰქონდა თავისი პოლიტიკური დატვირთვა, იმიტომ, რომ ეს რთული ზონა, რთული კუთხე იყო საქართველოსი და დღეს ხომ ურთულესი კუთხეა და რით კვებავდა თეატრი ამ დროს თავის მაყურებელს? ყველა ქვეყანაში დადგმულ სპექტაკლს თავისი დატვირთვა აქვს და აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს დრო. თეატრს განსაკუთრებული მაგია აქვს, პირდაპირი კავშირი მაყურებელთან. მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ემსახურა თეატრს, ვინც დადიოდა ამ თეატრში და ვინც ზრდიდა ამ ბავშვებს. საიდან სამშობლოს ასეთი თავგანწირული სიყვარული, თუ არა თეატრის მაღალმხატვრული დადგმები. მახსოვს ის პერიოდი, როდესაც თბილისიდან ცნობილი მსახიობები, რეჟისორები ჩამოდიოდნენ და როგორ სწევდნენ სოხუმის თეატრის იმ მაზანდას, რომელიც მას აქვს. სოხუმის თეატრს

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

თავისი ბიოგრაფია აქვს ამ ომის შემდეგ, რომელიც თავს დაგვატყდა ზუსტად 25 წლის წინ. მე და გოგი ქავთარაძე ვკამათობთ ხოლმე მისი პესიმისტური განწყობის გამო დაბრუნებასთან დაკავშირებით. „ჯიბის ბიბლიამ“, ანუ „ჯიბის სამშობლომ“ ებრაელებს 26 საუკუნის განმავლობაში შეანარჩუნებინა სამშობლო, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ. როდესაც ძალიან გინდა დაბრუნება, ჯიუტად გინდა, აუცილებლად გათენდება ის დღე. ყველას გახსოვთ, რომ აჭარა 300 წლის განმავლობაში არ იყო ჩვენი, თურქეთს ეკუთვნოდა და მიდიოდა გამუსულმანება მოსახლეობის, ჩვენ გვყავს მაჰმადიანი პატრიოტები და არც არავის ეგონა, რომ დაბრუნდებოდა აჭარა. გერმანიის გაერთიანებასაც არავის ელოდა, მაგრამ გაერთიანდა. ისტორიას აქვს ეს მოულოდნელი ლაბირინთები. არავინ ელოდა აფხაზეთში ასეთ ომს, არც იმას, რომ უღელტეხილით გადმოსულები 25 წლის შემდეგ, ისევ ასეთ შეხვედრებზე გავიხსენებდით აფხაზეთს. სოხუმში მგონია თავი, ეს თუ დაიკარგა, მაშინ დაიკარგება ქვეყანა. სოხუმის თეატრი ამას ყოველთვის უფრთხილდებოდა. დევნილი თეატრი, რომელსაც არა აქვს საკუთარი ჭერი, მაგრამ აქვს უზარმაზარი სტრესი, და როგორია ამ დროს მისი სპექტაკლების თემატიკა? - ისევ სამშობლოს სიყვარულის თემა, თეატრი არის ზარი, რომელიც მუდამ რეკავს. ყოველ წელიწადს რამდენიმე პრემიერა იყო თეატრში. მე დეპრესიიდან და სტრესიდან ჩემმა საქმემ გამომიყვანა.

მოკლედ გეტყვით, ისტორიას სპექტაკლებისა „ზღვა, რომელიც შორია“ და „გამარჯობა სოხუმო“. ორივე სპექტაკლი რეჟისორების - ბატონი თემურ ჩხეიძისა და ბატონი გიორგის დამსახურებაა. მე ერთი პატარა თანამონაწილე ვარ ერთისაც და მეორისაც. დანარჩენი არის რეჟისორი, მისი გუნდი, მუსიკა, მხატვრობა და ის განწყობა, რითაც მოდის ადამიანი თეატრში. ახლა გიორგი ოვაშვილი იღებს ფილმს „დევნილთა უღელტეხილი“ ჩემი წიგნის მიხედვით. ერთია, როცა ფილმში ჯარი ებრძვის ჯარს და სხვაა, როდესაც ომში დამარცხებული ადამიანები გადმოდიან იმ უღელტეხილით, სადაც ფეხი არასოდეს დაუდგამთ და როდესაც წინ სიცარიელეა, არავინ იცის, რა ელის.

მე და დიმა ჯაიანი შევხვდით თემურ ჩხეიძეს, მას აინტერესებდა ჩემი წიგნები, გამოხმაურებები. ყველაფერი მივუტანე. მითხრა, სოხუმში რომ ჩახვედი და ამხანაგებს შეხვდი, ის მაინტერესებსო. მე შევხვდი ჩემი ბავშვობის ამხანაგებს, ეს არც პოლიტიკური შეხვედრა იყო და არც კონფერენცია. მე დამეხმარა ის, რომ რამდენიმე ქართულ-აფხაზური შეხვედრის მონაწილე ვიყავი და ვიცოდი, რას ამბობდნენ ისინი და რა უნდა გვეთქვა ჩვენ. რა თქმა უნდა, ეს საათსა და 25 წუთში არ ჩაეტეოდა, მაგრამ დიდმა ოსტატმა თემურ ჩხეიძემ ისე გააკეთა, რომ, ფაქტობრივად, ორი კაცის საუბარია დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ მოსაწყენი არ იყო, რადგან ჩვენ სადაც ვიკრიბებით, საზოგადოება, ყველგან ვსაუბრობთ, ეს იმოდენა ტკივილია, 25-წლიანი დევნილობა და სტრესი, რომ, როდესაც იმქვეყნად წავალთ ასი წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მჯერა, დავბრუნდებით, მაინც თან გაგვყვება. ერთი თვე ვსაუბრობდით ჩვენ ამაზე. მერე წავიდა პეტერბურგში. მე დავწერე ძალიან დიდი პიესა და რომ ჩამოვიდა, შევამცირეთ ეს პიესა, დავიყვანეთ ერთმოქმედებიან პიესამდე და დაიდგა მერე ეს. თემა ძალიან რთული იყო. სამართებლის პირზე გავდიოდით, რადგან აქ ხალხი მოდის და ისმენს, რას ამბობს ის მეორე მხარე, აფხაზი. აქ მე არაფერი გამომიგონია, ყველაფერი იყო ის, რაც მითხრეს, რაზედაც ილაპარაკეს იქ და ზოგი აქაც თბილისში ჩამოვიდა. ჩვენ ჩვენს წვენში ვიხარშებით, ისინი - თავისაში. 25 წლის განმავლობაში თაობა გაიზარდა, რომელსაც ყოველდღე ეუბნებიან, რომ ქართველი არის მისი მტერი. ის ამას იჯერებს, მისთვის ეს არის რეალობა. და არის ისეთი კითხვები, რომელსაც მე ჩემს თავს ვერ ვუსვამდი. აფხაზმა ქალმა მითხრა: მე სიძე ქართველი მყავს, დისშვილები ქართველები მყავს. მე მინდა თქვენი ჩამოსვლა, მაგრამ, გურამ, იფიქრე, ჩვენი გამარჯვების დღე თქვენი ტრაგედიის დღეა, 27 სექტემბერი. აი, ვიცხოვრებთ ერთად. როგორ იქნება ეს დღე, ჩვენ აღვნიშნოთ ეს დღესასწაული და თქვენ თქვენი გლოვის დღე გექნებათ. მერე ეს ყველაფერი ვათქმევინე აფხაზს, რომელიც შესანიშნავად ითამაშა მერაბ ბრეკაშვილმა, დიმა ჯაიანმა მისცა მთელი ძალა და ენერგია ამ როლს. თემურ ჩხეიძემ თქვა ტელევიზიით არაერთხელ, რომ ჩემთვის ეს სპექტაკლი სხვაა, ეს სპექტაკლი მიყვარსო. აფხაზი გმირი ამბობს, როგორ იქნება ეს. აი, მშვიდობის გამზირზე რომ გაივლით, სადაც გმირებია დასაფლავებული, მათი გმირები. რას იზამთ, გადააფურთხებთ მათ მხარეს თუ ფარისევლებივით ყვავილს მიიტანთ? თუ ფარისევლურ ყვავილს მიიტანთ, მაშინ მე მირჩევნია ისევ ავტომატის ხმა იმ ყვავილების მიტანას. და ეს ძნელი მოსასმენია მაყურებლისთვის და უამრავი რაღაც, რაც ვათქმევინე თბილისში 5 მოქმედი გმირიდან ერთს. დიმასთან ერთად შესანიშნავად ითამაშა ბრეკაშვილმა, ლილი ხურითმა, ყოლბაიამ, ჩიქოვანმა. სპექტაკლი ინტერაქტიური იყო, ხალხი ადგილიდან ერთვებოდა ბრეკაშვილის საუბარში და აგულიანებდა დიმას. სპექტაკლი 6 წლის განმავლობაში იდგმებოდა, ძალიან ბევრი ადამიანი მოვიდა. მერე მოექცა საერთაშორისო ყურადღების ქვეშ. მოვიდნენ უცხოელები, სომხები და აზერბაიჯანელები თბილისში ერთად შეკრიბეს და უჩვენეს ეს სპექტაკლი. და დღესაც კონფერენციებზე აჩვენებენ ამ სპექტაკლს, რომელიც საათი და 25 წუთი მიდის.

ჩვენ 100 დისკი გავაგზავნეთ აფხაზეთში, როგორც აქ, იქაც მასობრივად უყურებდნენ. ერთ-ერთი ჩვენების მოწმემ გვითხრა, როგორ ტიროდა შავებში ჩაცმული აფხაზი ქალი, თქვენი ტრაგედია ახლა გავიგეო.

აფხაზები გაოცდნენ, რომ ქართველებმა აქ, თბილისში, აფხაზს ათქმევინეს ყველაფერი. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ კონსტიტუციური ენა ქართულთან ერთად აფხაზურია, თუ ვამბობთ, რომ ძმები არიან, უნდა მოვუსმინოთ მათ და ამის საშუალება მაშინ ამ სპექტაკლმა გააჩინა. სამწუხაროდ, 6 წლის შემდეგ ვიღაცის მითითებით ეს სპექტაკლი მოკვდა. თუ ჩვენ გვინდა ევროპული ფასეულობებით ვიცხოვროთ, მაშინ არავის სურვილზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ეს შეგვაფერხებს და ხვალ უკვე დიდი შრომა იქნება საჭირო იმისათვის, რომ მიაღწიო იმ ხარისხს, რომლითაც გინდა შეაბიჯო ევროპაში და გახდე მისი წევრი.

როდესაც რომელიმე სპექტაკლი დიდ კამათს იწვევს, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი სპექტაკლია, აზრთა სხვადასხვაობა როდესაც არის. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავით და ასე მოვედით დღემდე. აქ არიან ჩვენი შესანიშნავი რეჟისორები, რომლებმაც არ გაწყვიტეს ის ძაფი დინამიკის სოხუმის თეატრისა, ჩვენი დიდებული მსახიობები. დიდი მადლობა ყველას, ქალბატონ ირინას, ცენტრს, ყველას, ვინც ამ ლამაზ საქმეს ემსახურება. მრავალი ყოფილიყოს ასეთი შეხვედრა. შემდეგ შევხვდეთ და ვილაპარაკოთ იმ ლიტერატურაზე, რომელიც იქმნებოდა მე-20 საუკუნეში, აფხაზეთის ლიტერატურაზე, ვილაპარაკოთ მხატვრობაზე, ვისაუბროთ, იმიტომ, რომ ჩვენ უღელტეხილით კულტურა გადავარჩინეთ. ჩვენ დასაკარგი ბევრი გვქონდა. თეატრი გადმოდიოდა უღელტეხილით, მწერლები გადმოდიოდნენ უღელტეხილით. ყველანი ერთად გადმოდიოდნენ. დღეს, მთელ საქართველოს, გულზე რომ ხელი დავიდოთ და ვთქვათ, არც მერსედესის ფირმა გვაქვს და არც სხვა რამ, ასე არ გვიცნობენ ჩვენ. ჩვენ გვიცნობენ ჩვენი კულტურით, ჩვენი მაღალი კულტურით, კაცთმოყვარეობით, აზრთა სხვადასხვაობით. როდესაც ის ქართველი კაცი სადღაც მთაში წერდა, რომ თათრებთან რა გვაქვს გასაყოფი, მოდი, ვიძმოთო, ჩვენსა და სომხებს შორის გასაყოფი რა არისო, რომ ვამბობთ, ეს გულუბრყვილო ნათქვამია თითქოს, მაგრამ სულით და გულით ამბობდა ეს კაცი და ქართულ პოეზიაში აისახა. ქართულ პოეზიაშია „ვეფხვისა და მოყმის ამბავი“, სადაც დედა ამბობს, ისიც ჩემსავით ტირისო. ვერ ვიპოვე მე მსგავსი ვერსად და როდესაც უცხოელებს ვეუბნები, გაოცებული არიან. ეს ძალა გვაქვს. ამ ძალასთან შეხება გვქონდა დღეს ჩვენ და დიდი მადლობა ვუთხრათ ქალბატონ ირინას, ამ დიდი სახლის დიასახლისს.

გიორგი რატიანი

- როგორც მოგეხსენებათ, დღეს ვიმყოფებით სულიერებისა და კულტურის ცენტრში, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესი ილია მეორის ხელდადებით და ან განსვენებული ქალბატონი სვეტლანას ძალისხმევით შეიქმნა. მე პირველად მიხდება ამ დარბაზში გამოსვლა. კარგი იქნებოდა, ქალბატონი სვეტლანა აქ ყოფილიყო, მინდა მწუხარება გამოვთქვა ამის გამო, დღეს განაგებს აქაურობას შესანიშნავი ქალბატონი ირინა ქეცბა, რომელიც უძღვება ქალბატონი სვეტლანას დაწყებულ საქმეებს. მინდა მას მივულოცო და წარმატებები ვუსურვო მის შესანიშნავ კოლექტივს. დღეს დამასაჩუქრეს შესანიშნავი წიგნებით, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ეს სულიერებისა და კულტურის ცენტრი ნამდვილად დიდ საქმეს აკეთებს და არ ავიწყებს აფხაზეთის, და არა მარტო აფხაზეთის, საქართველოს საზოგადოებას აფხაზეთს. დიდი მადლობა მათ ამისათვის.

1961 წელი იყო. იური კაკულიამ, გახლდათ ასეთი რეჟისორი, კარგი რეჟისორი, შემდეგ სოხუმის თეატრშიც ბრძანდებოდა და შესანიშნავი სპექტაკლები ჰქონდა. ჩვენთან, მე-4 კურსზე დადგა „ანა ფრანკის დღიური“. ვთამაშობდი იუსეფს. მე და გურამ ხურცილავა, ეს ორი ახალფეხადგმული მსახიობი, წაგვიყვანა სოხუმის თეატრში, 1961 წელს. სოხუმის თეატრში ორი დასი მუშაობდა ერთად. ბატონმა გურამმა შესანიშნავი მიმოხილვა გააკეთა, ბრწყინვალე, არც ვიცოდი, თუ ამდენი სპექტაკლი დამახსოვრებული ჰქონდა, ეს ჩანს კიდეც მის ბრწყინვალე წიგნში სოხუმზე. არ მახსოვს, რაც წაკითხული მაქვს წიგნები, რომ ასეთი ოდა, ქებათა-ქება თავისი ქალაქისათვის ვინმეს ეძღვნა. მან აღნიშნა იქ, რომ 1928 წელს პროფესიონალური დასები ჩამოყალიბდა. მანამდე იყო სამოყვარულო თეატრები. 1928 წელს 5 თეატრი იყო სოხუმში, შემდეგ 2 თეატრი. 1961-ში ერთად ვიყავით იმ ცნობილი დრაკონების შადრევნების წინ არსებულ თეატრში. მინდა ერთ თემასაც შევეხო - ბრწყინვალე თეატრი დაგვხვდა, როგორც აფხაზური, ისე ქართული. აქ ბევრი ისაუბრეს ქართველ მსახიობებზე, შესანიშნავ მსახიობებზე - ბატონი მიშაჩუბინიძე, ბატონი კოლია, ნიკოლოზ მიქაშავიძე, ქალბატონი თინა ბოლქვაძე, ნორა ყიფიანი, ქალბატონი ფლორა შედანია, შესანიშნავი საშუალო თაობა - სერგო პაჭკორია, თინა ბაბლიძე და სხვანი და სხვანი. რუსთაველის თეატრში დაიდგა პიესა „როცა ასეთი სიყვარულია“ და ამ სპექტაკლიდან დაიწყო რუსთაველის თეატრში სრულიად ახალი ეტაპი. ეს იყო გარდამტეხი ეტაპი რუსთაველის თეატრის ესთეტიკაში. ვისაც ეს სპექტაკლი ნანახი აქვს, მოგეხსენებათ, მთხრობელი გახლდათ სერგო ზაქარიაძე, უბრწყინვალესი მთხრობელი. სცენაზე იყო, არ გადიოდა კულისებში, კუთხეში იჯდა და რაღაც საოცრებებს ახდენდა. სოხუმის თეატრში რომ ჩავედი, ვნახე ეს სპექტაკლი აფხაზური დასის შესრულებით და ბატონი ლევარსან კასლანძია, იყო ასეთი მსახიობი. უბრწინვალესი იყო, თითქმის ტოლს არ უდებდა სერგო ზაქარიაძეს და ისეთი მეტყველება ჰქონდა აფხაზური, გვერდზე რომ გაგეხედა და ყური ისე მიგეგდო, ინგლისელი გეგონებოდა. უბრწყინვალესი მსახიობი თავისი ჰაბიტუსით, ხმით, სიდინჯით. აქეთ კასლანძია და იქით მიქაშავიძე. იქაც ბრწყინვალე იყო ორთავე. იყო შარახ ფაჩალია, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ბრწყინვალე მსახიობი, რეჟისორიც, რომელსაც, ბატონმა დავითმა გაიხსენა, შეეძლო სპექტაკლის მსლელობისთვის ყველაფერი გაეჩინა, რაც საჭირო იყო. ბატონ დავითს ყველა იცნობთ. 1973-1976 წლებში ჩვენს ქართულ თეატრს თავისი ხელი დაატყო. არა მარტო იმ თეატრს, გამსახურდიას თეატრს, არამედ ჩვენს თეატრს, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრ „თეთრ ტალღას“ ბრწყინვალე სპექტაკლები შესძინა და დიდი მადლობა მას. მის სპექტაკლებში თითქმის ყველაში მთავარ როლს ვასრულებდი. მას ბევრი კარგი აქვს გაკეთებული ორთავე თეატრისათვის. მინდა გავიხსენო მინადორა ზუხბა, ბრწყინვალე მსახიობი, მშვენივრად თამაშობდა, აზიზ აგრბა, ბრწყინვალე ტექნიკის მსახიობი, ნურბეი კამკია. ჩემ თვალწინ გაიარა ყველამ იმიტომ, რომ იმ პერიოდში მეც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. ეთერ კოლონია, ნელი ეშბა უფრო ადრე იყვნენ, თუმცა მათ მოვუსწარი, მაგრამ სერგო საქანია, ჩინჩორ ჯენია ჩემს პარალელურ ჯგუფში იყვნენ, აკაკი ხორავა ასწავლიდა. მათ ზრდიდა შესანიშნავი ქართველი ხელოვანი ხალხი: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ანზორ ქუთათელაძე - კოჰორტა ლექტორებისა, მაშინ ბრწყინვალე ხალხი იყო, უგანათლებულესი ხალხი, მათ უკითხავდა ლექციებს. ე.ი. როგორც აფხაზური დასი, ისე ქართული დასი ბრწყინვალე მსახიობებით და რეჟისორებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: თეატრი არის კონფლიქტური ორგანიზაცია, კონფლიქტური თავისი სპეციფიკით. განა ერთმანეთს კლავენ, მეგობრები არიან, მაგრამ რაღაც-რაღაცების გამო, პატარ-პატარა გაუგებრობების გამო კონფლიქტური სიტუაცია იქმნება ხოლმე. ასე იყო აფხაზურ თეატრში და ასეა სხვა თეატრებშიც. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო და ყველამ მინდა იცოდეს, რომ აფხაზურ თეატრსა და ქართულ თეატრს შორის, აფხაზ და ქართველ მსახიობებს შორის კონფლიქტის ერთი შემთხვევაც არ ყოფილა. პირიქით, იყო დიდი სიყვარული და უფრო მეტიც, ვისაც სოხუმი გახსოვთ, მაიმუნთსაშენთან, ბარათაშვილის ქუჩაზე, არის სახლი და იმ სახლში როგორც აფხაზი, ისე ქართველი მსახიობები ვცხოვრობდით. ერთ სადარბაზოში იყვნენ სოხუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები, მეორე და მესამე სადარბაზოში - მსახიობები. უნდა გენახათ, რა ურთიერთობა გვქონდა. გული მწყდება, ადამიანურად, ზოგჯერ რომ დავწვები და ფიქრები გამიტაცებს, გული მწყდება. მივიდოდით, მოვიდოდით, სუფრა გაიშლებოდა. დიდი სიყვარული იყო, ძმობა და მეგობრობა. ქორწილები ეზოში ეწყობოდა, დაკაპიწებული მკლავებით ქალები, კაცები, აფხაზი, ქართველი, თამადობა, ალავერდები, მერიქიფეები... რა მოხდა, რა ჯანდაბა დაგვემართა. ალბათ, შემეხმიანება ბატონი დავითი, რომ ასეთი დასები, თეატრები თბილისის გარეთ არ არსებობდა, ვისაც უნდა, ეწყინოს. სოხუმის ორთავე თეატრი ყოველთვის იყო ძალიან თანამედროვე თავისი ფორმით, თავისი შინაარსით, თავისი რესპექტიკით გამორჩეული. ამას თეატრმცოდნეებიც ამბობდნენ, მეამაყება, როცა ხანდახან გამოჩნდება ხოლმე ტელევიზიაში ძველი ჩანაწერები, ხან „დიდოსტატის მარჯვენა“, ხან „ბრძოლა ტახტისათვის“ ხან სხვა - რა ძლიერი დასი გვყოლია!

არ შემეძლო, არ აღმენიშნა სოხუმელი მსახიობების, როგორც აფხაზების, ასევე ქართველების დიდი მეგობრობა და ეს ნუთუ კიდევ არ განმეორდება? მოვესწრები? მე თუ არა, თქვენ მოგასწროთ ღმერთმა და მგონია, თუ ეს მოხდა, თუ ჩავედით, ისევ ის სიყვარული აღდგება, ისევ ის ურთიერთობა იქნება...

დიდი მადლობა მინდა ბატონ გურამს მოვახსენო, რომ ასე მოიხსენია ჩვენი „გამარჯობა, სოხუმო“. აქვე მინდა მას დიდი მადლობა მოვახსენო იმის გამოც, რომ დამრთო ნება მისი წიგნიდან მეხელმძღვანელა. თქვენ იცით, რომ ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“ 1938 წელს ხდება, როდესაც ბერძნები გაასახლეს ომის წინ და როგორ უჭირდათ ერთმანეთთან განშორება! ჩემი მეუღლე სოხუმელი იყო და იმ უბანში ბევრი ბერძენი ცხოვრობდა. ერთ დილით გავიღვიძე და გადავედი ჩემი მეგობრების სანახავად (პატარები ვიყავითო) და ცარიელი დამხვდა სახლებიო. ეს იყო 1938 წელს. მაგრამ ჩვენ დავდგით ეს სპექტაკლი 1997 წელს თბილისში. ახალი გამოსული იყო ბატონი გურამის წიგნი და ვიფიქრე, ხომ არ აჯობებდა, ბერძნების წასვლა 1938-ში კი არ მოხდეს, არამედ ამ კონფლიქტის დროს, როგორც ესტონელები, რუსები, ბერძნები გავიდნენ მაშინ. რა უნდა მექნა? და ბატონი გურამის ბრწყინვალე წიგნიდან ამოვიღე სპექტაკლის პროლოგი და ფინალი და უცებ საოცრება მოხდა - არ არის თოფების სროლა, აფეთქებები არ არის, მაგრამ ნაჩვენებია, რა ბედნიერია ომამდე ხალხი, პროლოგში, ფინალში კი, გაჭიმულ თოკთან, „ჩვენ სოხუმში გემით დავბრუნდებით“ ბატონი გურამის ტექსტია. ეს ძალიან ემოციური ადგილია.

დავით კოგანიძე

- ჩვენს პროგრამაში, რომელიც თქვენც გაქვთ, გარკვევით წერია, რომ ლაპარაკი იქნება თემაზე „თეატრალური სოხუმი გუშინ, დღეს და ხვალ“. წამოსვლის წინ რაღაც ფურცელზე ჩამოვწერე. „გუშინ“-ზე არის მთელი სვეტი, „დღევანდელზე“- ნახევარი და „ხვალინდელზე“მხოლოდ ორი სტრიქონი. რას ნიშნავს გუშინ? მე 1973 წელს დამნიშნეს სოხუმის

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-4-5 გვ.) თეატრის მთავარ რეჟისორად. რა თქმა უნდა, წასვლის წინ რაღაც მასალებს გავეცანი, ვიცოდი, სად მივდიოდი, და უნდა გითხრათ, რომ აქ ნაწილობრივ ბატონმა გიორგიმ უკვე ბრძანა, ეს იყო მაშინდელ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი. ეს არც ჩემი დამსახურება იყო და არც ბატონი გიორგის. ეს იმ ჩვენი წინაპრების ღვაწლი იყო, რომლებმაც ეს არაჩვეულებრივი თეატრი შექმნეს. ამ თეატრს ჰქონდა რამდენიმე ისეთი უნიკალური მაჩვენებელი, რომელიც საქართველოს არც ერთ სხვა თეატრს არ ჰქონდა. ჩართვის სახით გეტყვით, სოხუმში წასვლამდე სამი წელი ვიყავი ტელევიზიის დრამატულ გადაცემათა რეჟისორი და გადაღებული მაქვს საქართველოს ყველა თეატრი (გუშნ 28 თეატრი იყო საქართველოში) და ყველ ა თეატრი ვიცი. არსად საქართველოში, მე არ ვგულისხმობ მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებს, ისინი სხვა კატეგორიის თეატრებია, არ არის სხვა თეატრი, სადაც ისეთი მაღალი პროფესიონალიზმი იყო, როგორიც სოხუმის თეატრში. მე არ მეგულება სხვა თეატრი მაშინდელ საქართველოში. ეს არის გუშნ, სოხუმის თეატრი - ეს არის თეატრი, რომელმაც შემოინახა ქართული თეატრის უმთავრესი პრინციპი (დღეს დავიწყებული გვაქვს იმიტომ, რომ რამდენადაც ვიცი, შეიცვალა სიტუაცია). ქართული თეატრი ერთადერთია, რომელსაც ევალებოდა: ენის გადარჩენა და ერის გამოფხიზლება. ასეთი თეატრი მსოფლიოში არ არსებობს. არსებობს სპეციფიკური თეატრები, ეთნოგრაფიულები და რანაირიც გინდა, მაგრამ თეატრი, რომელსაც ევალება, რომ ენა შეინარჩუნოს და მოუაროს ეროვნულ ცნობიერებას, სხვა თეატრი არ არსებობს. ეს სოხუმის თეატრს ჰქონდა. რაში გამოიხატებოდა ეს? ეს იყო ერთადერთი თეატრი, რომლის მსახიობებიც თავიანთი გარეგნობით, სილამაზე არა მაქვს მხედველობაში, ქცევის მანერით, კულტურით და პროფესიონალიზმით მუდამ იყვნენ პირველ ხაზზე. მე ვიცი თეატრები, რომლებსაც ჰყავდა ბევრი ნიჭიერი მსახიობი, კინოშიც იღებდნენ, მაგრამ რომ ჩახვიდოდი, რაღაც ჰქონდათ ისეთი, რომელიც გამოავლენდა მათ პროვინციალიზმს. სოხუმის თეატრს ეს არ ჰქონია არასოდეს. მას ჰქონდა კიდევ ბევრი ისეთი თვისება, რომლებიც საქართველოს სხვა თეატრში არ იყო და მე ეს ვიცოდი. რომ ჩავედი, მართალია, იქ ცოტა კონფლიქტური სიტუაცია იყო, მაგრამ მალე გავერკვიე. ეს იყო პერიოდი, როცა თაობებს შორის კონფლიქტი ცოტა გართულდა. 5 მსახიობი მომხრე იყო, რომ წასულიყო მთავარი რეჟისორი, სხვები ითხოვდნენ მის დარჩენას. იყო მათ შორის ბრძოლა და მთავრობამ მიიღო ყველაზე მარტივი გადაწყვეტილება - მოხსნა ერთი და გამოუშვა მეორე. ასე აღმოვჩნდი მე იქ. უნდა გითხრათ, რომ ისეთი სიამოვნება, როგორიც მე ამ დახვეწილი ინტელიგენტი არტისტებისაგან მივიღე, მერე სხვაგან არც მქონია. ეს იყო არაჩვეულებრივი თეატრი. აი, ამ თეატრში დავიწყე 1973 წელს მუშაობა. ჩემამდე იქ მუშაობდა მთელ საქართველოში ცნობილი რეჟისორი ბატონი სერგო ჭელიძე, ერთ-ერთი დამაარსებელი პროფესიული ქართული თეატრისა სოხუმში. მის დროს შეიქმნა ეს თეატრი, მერე რამდენჯერმე წავიდა და ჩამოვიდა. აი ის შევცვალე. მას ჰქონდა დაწერილი ბრძანება, რომ დაედგათ „საბრალდებო დასკვნა“ და გამოვაცხადე, რომ მისი სახელის პატივსაცემად დავდგათ ეს პიესა-მეთქი, დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“. ამაში ცოტა სიჯიუტეც ჩანდა, ცოტა პრინციპულობაც და ასე დავიწყე მუშაობა. ჩვენ ორი თეატრი ვიყავით ერთად - აფხაზური და ქართული. წელიწადში 4-4 სპექტაკლს ვდგამდით, სულ 8 სპექტაკლი გამოდიოდა. ვიმუშავე 3 სეზონი, 8 სპექტაკლი დავდგი მე, დანარჩენი სხვა რეჟისორებმა.

ბატონმა გიორგიმ ბრძანა აფხაზურ-ქართული დასების ურთიერთობაზე. მე პოლიტიკურ მხარეს არ ვეხები. 3 წელი ვიყავით ჩვენ ერთ შენობაში. დასის შიგნით კონფლიქტს რა გამოლევს, ეს მსახიობისათვის სპეციფიკური მოვლენაა - ის კონფლიქტს ეძებს გაუთავებლად, ეს მისი პროფესიაა. მაგრამ ორ თეატრს შორის კონფლიქტი არასდროს მომხდარა. საინტერესო ამბავს გავიხსენებ. რომ ჩავედი, სამინისტროდან თეატრმცოდნეები ნოდარ გურაბანიძე და ვასო კიკნაძე წამომყვნენ. ჩავედით,ბაგრატ შინკუბასთან შეგვიყვანეს, ვალერიან კობახიასთან, მეჯილ ხვარცკიასთან. მითხრეს, შეხვედრები ჩქარა დაასრულეთ, გელოდებიან ქორწილშიო. რა ქორწილიო, ნოდარ გურაბანიძემ იკითხა. მსახიობ სერგო პაჭკორიას აქვს ქორწილი დღესო, მისი მეუღლე - საპატარძლო, იყო ჩემი ყოფილი სტუდენტი ლეილა კალანდია. მოკლედ, ეს ყველაფერი ინფორმაცია დამახვედრეს და ჩქარ-ჩქარა წაგვიყვანეს. მივედით. საინტერესო დეტალი: აი ამათი სახლი რომ არის, მსახიობების, იმის ეზოში იყო ქორწილი გაშლილი. ყველა ქართველი მსახიობი იჯდა და ჩაის ჭიქით სვამდა, ყველა აფხაზი მსახიობი იდგა და მერიქიფედ ემსახურებოდა. მე ქართული დასი მენახა გასტროლებზე, იმათი - არა, რომ ვიკითხე, ჩამომითვალეს: ნურბეი კამკია, რესპუბლიკის სახლხო არტისტი, მისხამდა ღვინოს. იყო ეს ურთიერთობა. რა თქმა უნდა, ამან რაღაც გავლენა მოახდინა ჩემზე იმიტომ, რომ 1975 წელს დავდგი სპექტაკლი, სადაც თამაშობდნენ 1 აფხაზი და 1 ქართველი. ეს იყო ზორინის პიესა „ვარშავული მელოდია“, თეატრის ფოიეში. დირექციამ ძალიან შეგვიწყო ხელი. ყოველი რეპეტიციის დაწყებამდე 5 წუთით ადრე შემოვიდოდა შარახ ფაჩალია და ჩუმად მკითხავდა, ხომ არაფერი გაკლიაო. ხომ შეეძლო, არ მოქცეულიყო ასე. უფრო მეტიც. სცენის ბოლოში იდგა როიალი, რომელიც უჩუქებიათ თეატრისათვის, რადგან ამ როიალის დასადგმელი ადგილი არავის ჰქონია, უზარმაზარი იყო. ჩვენ კიდევ გვინდოდა სპექტაკლში ცოცხლად შესრულებულიყო შოპენის მუსიკა. „როიალი რომელი დავდგათ?“ - მკითხა ფაჩალიამ. მე ვუთხარი, რა თქმა ის, დიდი, სცენაზე რომ არის-მეთქი (რომელიც არასდროს გამოუყენებიათ). ერთ დღეს გასცა განკარგულება, დატოვეს 8 მუშა, რომლებსაც უნდა აეწიათ ეს როიალი, შენც დარჩი და ნახეო, მითხრა. გადახსნეს ყველაფერი, აღმოჩნდა არაჩვეულებრივი როიალი. როდესაც აჩუქეს, შემოუტანიათ ეზოდან, დეკორაციების შემოსატანიდან. ახლა,როცა პარტერიდან უნდა გაგვეტანა ფოიეში, ავანსცენას მივუახლოვდით თუ არა, ერთმა აფხაზმა ბიჭმა თქვა, არ გაეტევა ეს კარებში და სად მიგაქვთო. როიალი უფრო დიდია, ვიდრე კარიო... შევწუხდით, რა ვქნათ, არ ვიცით. შარახ ფაჩალიამ მითხრა, წადი სახლში და ხვალ მოდიო. ვიფიქრე, ალბათ არ გაკეთდება-მეთქი და წავედი სახლში. მეორე დღეს მივედი თერთმეტის ნახევარზე და ვხედავ, სცენაზე ფუსფუსებენ ბიჭები, აპრიალებენ ამ როიალს, მოყვანილია ამწყობი. ვიკითხე, როგორ მოიტანეთ აქ როიალი-მეთქი? შენ რომ წახვედი, შარახი ჩაჯდა თავის მანქანაში, სადღაც წავიდა და მოიყვანა ერთი სატვირთო ჯარისკაცებით სავსე, ალბათ, 30 კაცი და უთხრა: ახლა ეს როიალი გაიტანეთ ეზოში, პუშკინის ქუჩით წამოიღეთ და ცენტრალური კარებიდან შემოიტანეთო. მართლაც, რა გაუჭირდებოდათ ახალგაზრდა ბიჭებს, წამოიღეს ეს როიალი, ატარეს მთელი ქუჩა, შემოიტანეს ცენტრალური შემოსასვლელიდან და დამიდგეს იქ. ხომ შეეძლო, არ გაეკეთებინა! ასეთი შემთხვევა ბევრჯერ იყო. ძალიან სასიამოვნო იყო თეატრში მუშაობა. 8 სპექტაკლი დავდგი. უნდა გითხრათ, არც ერთი არ იყო გენიალური, იყო ჩვეულებრივი სპექტაკლები, მაგრამ ინტელიგენტი დასის შესრულებით (მაშინდელ დასს ვგულისხმობ). ისე ადვილად იქ ცუდ სპექტაკლს ვერ დადგამდი. როგორც მოგახსენეთ, მემკვიდრეობიდან იდეები შერჩა მაინც სოხუმის თეატრს, რეპერტუარსაც ეტყობა, რომ შეხედავ, ნახავ, რომ ეს არ არის პროვინციული თეატრის რეპერტუარი. ეს არის თეატრი, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება დღევანდელ თეატრალურ აზროვნებას. აი ეს მუდამ ჰქონდა სოხუმის თეატრს და კიდევ რამდენი სიკეთე შემიძლია ვთქვა, მაგრამ მეორე საკითხი, რომელიც ძალიან მტკივნეულია, ეს არის ქართული თეატრის მდგომარეობა დღეს. სოხუმის თეატრზე რამდენიმე წიგნი არსებობს. ასევე, ჩვენ ვიცით, სხვა თეატრებს როგორ უჭირდათ ექსტრემალურ სიტუაციაში. კარგა ხნის მერე, აქ, თბილისში, ვმუშაობდი სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში და სულ მიკვირდა, სად შოულობდა დევნილი მთავრობა ფულს, რომ თუნდაც მიზერული თანხით ეს თეატრი დაეფინანსებინა. მეორე თეატრსაც ხომ რაღაცას აძლევენ, მაგრამ, ნურავის ეწყინება, ეს არ არის, ალბათ, საკმარისი. ფულზე არა მაქვს ლაპარაკი. ყველას გეცოდინებათ, უბრალოდ, შეგახსენებთ: როცა მოსკოვის ევაკუაციის საკითხი დადგა, პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინს შემოუტანეს სია თანმიმდევრობისა, ვინ როდის და ვის შემდეგ უნდა გაასახლონ მოსკოვიდან. 38-ედ წერია თეატრები. მან თავისი ცნობილი წითელი ფანქრით შემოხაზა, აიტანა ზემოთ და მეორე ნომრად დაწერა. ამბობენ, კაგანოვიჩი წამოხტა და უთხრა, ამ მსახიობების გულისთვის მეცნიერები რატომ ჩასწიე დაბლაო. სტალინის პასუხი (მე არ ვარ სტალინისტი, მაგრამ ნიჭიერი კაცი რომ იყო,

ჩემზე კარგად იცით): ნებისმიერი დარგის აღდგენა შეიძლება, თუ სახელმწიფო მოინდომებს, გარდა თეატრისა. თეატრის შეწყვეტა არ შეიძლება, არ უნდა შეწყდეს, თორემ უკვე სხვა თეატრი იქნებაო. მე მიამბეს, რომ სასტუმრო „თბილისში“ ცხოვრობდნენ: ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი, ტარხანოვი.

სამ ქალაქს: სოხუმს, ფოთსა და ზუგდიდს ომის დროს ხელმძღვანელობდნენ: სოხუმს - მგელაძე, ზუგდიდში - ჩაჩიბაია და ფოთში - კოკაია. სამივეზე გაზეთ „პრავდაში“ დაიწერა წერილი, როგორც სასწაულთმოქმედებზე. ომის დროს დაიწყო ზუგდიდის თეატრის მშენებლობა ჩაჩიბაიამ, ურემზე იჯდა და დაჰქონდა ქვები. ხომ საოცარია! ე.ი. შეიძლება რაღაცის გაკეთება. ღმერთმა ქნას და ხვალ გვითხრან, წამობრძანდით ბატონო, სოხუმში, ყველაფერი ხდება, ვინ ელოდა, რომ 1918 წელს ბათუმს შემოუერთებდნენ საქართველოს. დავუშვათ, მოხდა სასწაული. ცუდ რაღაცას ვიტყვი ახლა: თქვენ იცით, რომ სოხუმს ქართული თეატრი არ ექნება?! რატომ? იმიტომ, რომ აქედან წავა დიდი-დიდი 3-4 მსახიობი, მეტი არავინ, რადგან აღარ დარჩნენ სოხუმელი მსახიობები. სკოლებიც აღდგება, ყველაფერი აღდგება, ვერ აღდგება თეატრი. მიუხედავად ჩემი ასაკისა და იმისა, რომ მრავალი წელი მაშორებს სოხუმს და ჩემი შესაძლებლობების მიუხედავად, ძალიან მაწუხებს ეს საკითხი. ხვალინდელ თეატრთან დაკავშირებით მინდა გითხრათ ერთი რამ და ამით დავასრულო: არის ასეთი გამოსავალი. ამ წუთში ამას მოგახსენებთ, როგორც თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი. 18 წელი ვიყავი იქ დეკანი და ეს სტრუქტურა ვიცი კარგად. თუ ავტონომიური რესპუბლიკის აქ მყოფი ხელისუფლება მოინდომებს, ეს ძალიან ადვილად გაკეთდება: ყოველ წელიწადს, სამი წლის განმავლობაში, საკმარისია მთავრობამ დააფინანსოს 15-15 სტუდენტი და სოხუმს ეყოლება თავისი, მზა კადრები. ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, არავის არაფერს ვასწავლი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, დღეს ეს გზა არსებობს. ხვალ უკვე გვიან იქნება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ უახლოეს მომავალში სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრ „თეთრი ტალღას“ სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ რატიანი მოგვცემენ შესაძლებლობას, საზოგადოებას უფრო ფართოდ წარვუდგინოთ თეატრალური სოხუმის მომავალი.

„დედაენის“ ბეჭდვის საიდუმლო

2018 წელს დედა ენის დღე განსაკუთრებულად აღინიშნა, ვინაიდან 1978 წლის მოვლენებიდან 40 წელი გავიდა. ეს საიუბილეო თარიღი გახდა საფუძველი იმისა, რომ ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა განსაკუთრებული პროგრამა შესთავაზა საზოგადოებას.

ახალგაზრდები, რომლებიც 1978 წელს დედა ენის სადარაჯოზე იდგნენ, აგრძელებდნენ ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანისა და იაკობ გოგებაშვილის გზას: მათ დაიცვეს დედა ენა!

იაკობ გოგებაშვილის, ქართულისა და საქართველოს პირუთვნელი დარაჯის პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში: „დედაენისა“ და „ბუნების კარისათვის“ შექმნილი ლექსებისა და მოთხრობების იაკობისეული ავტოგრაფები, ქართული ანბანის თითოეული ასონიშნის მოხაზულობის თაობაზე საგანგებო კომისიის სხდომის ოქმი და სხვადასხვა რეცენზიები, 1920 წელს გამოცემული „დედაენის“ სტამბური კლიშეები, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისთვის ოსკარ შმერლინგის მიერ შემნილი ილუსტრაციების ორიგინალები, სადაც საუკეთესოდ ჩანს, როგორ აცოცხლებდა მხატვარი ყველასათვის საყვარელ საყმაწვილო პერსონაჟებს მოთხრობებიდან: „იავნანამ რა ჰქმნა“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „იოთამ ზედგინიძე“, „მღვდელი თევდორე თავდადებული“ და სხვა. ამ ექსპონატების ხილვისას სწორედაც რომ „დედა ენის“ ბეჭდვის საიდუმლოს ეზიარება მნახველი.

„დედაენის“ ბეჭდვის საიდუმლო უფრო ცხადი და ხელშესახები რომ ყოფილიყო კომპიუტერული ტექნოლოგიების თაობისათვის, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, მოამზადა საგანგებო საგანმანათლებლო აქტივობა „დაბეჭდე „დედაენა“. პროგრამა ეფუძნება ცენტრის კოლექციაში დაცულ „დედაენის“ სტამბურ კლიშეებს. ამ კლიშეების მიხედვით შექმნილი რეკვიზიტების, სამღებრო რეკვიზიტების, ტუშისა და მაღალი ხარისხის ქაღალდის მეშვეობით, შესაძებელი ხდება რამდენიმე წუთში „დაბეჭდოს“ მოზარდმა „დედაენის“ ორი გვერდი, გასული საუკუნეების ბეჭდვის ტექნოლოგიას მიმსგავსებული მეთოდით.

16 აპრილს განხორციელებული პროექტის „დედაენის“ ბეჭდვის საიდუმლო“ საგანგებო სტუმრები იყვნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. აღნიშნულ უწყებებთან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის თანამშრომლობა უკვე მრავალ წელს ითვლის, თუმცაღა 2018 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი გამორჩეული სტუმრის სტატუსით მოწვევა, რამდენიმე გარემოების გამო:

1. დედაენის დაცვისა და დასწავლის პრობლემა დღევანდელ საქართველოში ყველაზე მწვავედ სწორედ აფხაზეთში დგას. აფხაზეთის მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით ინტენსიურად ახორციელებენ საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტებს, როგორც დედაქალაქში ლოკალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისე რეგიონების (ოკუპირებული ტერიტორიის ჩათვლით) დონეზე.

2. აფხაზეთს სულიერებისა და კულტურის ცენტრის მხარდაჭერით პროექტში „დედაენის“ ბეჭდვის საიდუმლო“ აქტიურად ჩაერთვნენ აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები მარნეულის საჯარო სკოლებიდან. ეს ახალგაზრდები სწორედ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ირინა ქეცბამ წარუდგინა აუდიტორიას. ახალგაზრდებმა კი, თავის მხრივ, არ დაიშურეს ძალისხმევა, ეჩვენებინათ, რამდენად კარგად ფლობდნენ ქართულ ენას და უფრთხილდებოდნენ მას.

3. თანამშრომლობის კიდევ ერთ ტრადიციულ მიმართულებად იქცა ქველმოქმედთა სახლ „მომავლის გზასთან“ მეგობრობა, რომლის აღსაზრდელებიც ქართულ ანბანს, კალიგრაფიასა თუ ენას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი პროექტებით ასე ცოცხლად ეხებიან.

4. იაკობ გოგებაშვილთან მიმართებაში აფხაზეთის თემატიკა კიდევ ერთი თვალსაზრისით არის მნიშნელოვანი, ვინაიდან იაკობ გოგებაშვილის პირად არქივში დაცული ნაწერები, წერილები მოწმობს, რომ იაკობი განსაკუთრებული სიფრთხილითა და რუდუნებით ეკიდებოდა აფხაზეთის თემას: წერილები გუდაუთაში „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ გაგზავნის აუცილებლობაზე, პუბლიცისტური წერილი „Кем Заселить Абхазию“ და სხვა მსგავსი საარქივო დოკუმენტები აჩვენებს საზოგადოებას, რომ აფხაზეთი 60-იანელების საგანგებო ზრუნვისა და ფიქრის საგანი იყო, მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში.

5. არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ექსპოზიციაზე წარმოდგენილი აფხაზური „დედაენა“ ივანე ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკიდან. ეს წიგნი 1938 წელს დაიბეჭდა და წელს მისი გამოცემიდან 80 წელი გავიდა. რა მნიშვნელობისა იყო ამ სახელმძღვანელოს გამოცემა და რა ისტორია აქვს ამ კონკრეტულ ეგზემპლარს?

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში დაცული აფხაზური „დედაენა“ გახლავთ ივანე ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. საქმე ის გახლავთ, რომ წიგნის ტირაჟი არ გავრცელებულა, ცენზურამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ქართული ანბანის საფუძელზე, გოგებაშვილის „დედაენის“ მეთოდოლოგიით შექმნილი სახელმძღვანელოს გავრცელება. ეს ცალი კი, როგორც ჩანს ივანეს გამომცემლებმა აჩუქეს - წიგნს ახლავს მიძღვნითი წარწერა.

რატომ არის ეს წიგნი ესოდენ მნიშვნელოვანი?

ცნობილია, რომ აფხაზური ანბანი თავისი გრაფიკული გამოსახვის ისტორიის მიხედვით რამდენიმე ეტაპად იყოფა: პირველი ეტაპი უკავშრდება კირილიცზე დაფუძნებულ გრაფიკას, შემდეგ, ვიდრე 1937 წლამდე - ლათინურ ანბანზე დაფუძნებული ანბანი და ამის შემდეგ, სწორედ 1938 წლიდან იწყება ქართულ გრაფიკაზე დაფუძნებული აფხაზური ანბანის ისტორია. ივანე ჯავა-

ხიშვილის ბიბლიოთეკაში დაცული სახელმძღვანელო სწორედ ამ პროცესის ამსახველი საეტაპო გამოცემაა. ანბანის გრაფიკული საფუძვლის შერჩევისას კომისიას განუხილავს ოთხი პროექტი: აკაკი შანიძის, სიმონ ჯანაშიას, გულიას და მეოთხე - რადიკალურად ანტიქართული ტენდენციებით გამორჩეული ავტორთა ჯგუფის მიერ წარდგენილი პროექტები. ეს უკანასკნელი საერთოდ არ განუხილავთ, შეჯერებულა წინა სამი ავტორისეული შეთავაზებები და საბოლოოდ განაჩინეს, აფხაზური ანბანის საფუძველი ყოფილიყო ქართული ანბანის 33 ასონიშანი, მას დამატებული 6 სპეციფიკური ნიშანი, რომელიც დამახასიათებელი იყო აფხაზური ენისათვის. ამის შემდეგ დაიწყო მზადება სახელმძღვანელოს გამოცემისათვის. აფხაზური „დედაენა“ მიჰყვება გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მეთოდიკასა და არქიტექტონიკას. ასევე, გამოყენებულია იაკობისეული წერის ნიმუშები, რომლითაც ასწავლიდნენ აფხაზ ბავშვებს წერას.

ამგვარი ისტორიული მნიშვნელობის წიგნის გამოფენა „დედაენის“ კვირეულის ფარგლებში, მით უფრო, რომ ამ წიგნს გამოცემიდან 80 წელი შეუსრულდა, მნიშნელოვანი იყო. მისი საგანგებოდ წარდგენა კი აფხაზეთის მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის წარმომადგენლებისათვის, ასევე ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისათვის პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს აქცენტს წარმოადგენდა.

ნაბეჭდი „დედაენის“ შავი, ნასწორები ჩანაწერები, ილუსტრაციები, აფხაზური „დედაენა“, სახელმძღვანელოს სტამბური კლიშეები და პრაქტიკული შემეცნებითი აქტივობა „დაბეჭდე „დედაენა“ - ამ ყოველივემ მოზარდების წინაშე მართლაც ფარდა ახადა „დედაენის“ ბეჭდვის საიდუმლოს, ხელშესახები და ცოცხალი გახადა მათთვის ეს პროცესი და მისი მნიშვნელობა XIX საუკუნის საქართველოში. ამას გარდა, იმის დანახვაც გახადა შესაძლებელი, რომ სამწუხაროდ, პრობლემა - ზრუნვა ქართული ენის დაცვასა და გავრცელებაზე საქართველოს ერთ ულამაზეს კუთხეში კვლავაც ძალზე აქტუალურია.

ნესტან ბაგაური
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და
განათლების მიმართულების ხელმძღვანელი

„სააღდგომო“ გამოფენა

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში (დირექტორი ლია გორგაძე) 31 მარტს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მონაწილეობით მოეწყო ბავშვთა „სააღდგომო“ გამოფენა. მასში დევნილ მოზარდებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ოკუპირებული ზონის - გალის რაიონის სკოლებიდან 8 მოსწავლემ. გამოფენის ორგანიზატორებმა ბავშვები: ქრისტინა ყოლბაია, ნანა ხუტკუბია, ელიტა ციკოლია, გიორგი ღურწკაია, მ.ჯახაია, ელზა ციკოლია, იზოლდა გაბადაძე, ილო გამსახურდია, ანასტასია ჯულუხიძე სიგელებით დააჯილდოვეს.

17 მაისი - ოჯახის სიწმინდის დღე

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები ვარდების მოედანზე შეუერთდნენ თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარ დეკანოზ ბიძინა გუნიას მრევლს და მლოცველებთან ერთად გაემართნენ წმ. სამების საკათედრო ტაძრისაკენ, სადაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II პარაკლისი გადაიხადა.

„სიხარული გაუგებარია, როდესაც საყვარელი პიროვნება გშორდება, მაგრამ მოციქულებს ყოველთვის ახსოვდათ უფლის სიტყვები -„მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე“. აი დღესაც მაცხოვარი ჩვენთანაა, ვმადლობთ მას მისი დიდი წყალობისათვის. დღეს კიდევ დიდი დღესასწაულია, ჩვენ ვდღესასწაულობთ ოჯახის სიმტკიცეს. ოჯახი ეს არის საფუძველი სახელმწიფოსი, ქვეყნის და ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ ბედნიერი იყოს ჩვენი ოჯახი“, - ბრძანა უწმიდესმა ქადაგების შემდეგ.



თაქთაქიშვილის კონკურსი

საქართველოს მუსიკოსთა გაერთიანება „რონდო-კლასიკას“ მიერ ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულთა დასკვნით საღამოზე 30 აპრილს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე ირინა ქეცბამ ფულადი პრემია გადასცა კონკურსის ერთადერთ დევნილ მონაწილეს პეტერბურგიდან მევიოლინე **ნინო ჯალაღონიას.**

ტრადიციადქცეული დღესასწაული

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა არაერთ მნიშვნელოვან ტრადიციას დაუდო სათავე (ეს ყველაფერი, უწინარესად, აწ გარდაცვლილი დიდი პიროვნების, ქალბატონ სვეტლანა ქეცბას სახელს უკავშირდება). ერთ-ერთ ასეთ ტრადიციად იქცა ყოველი ზაფხულის, ივნისის თვის დასაწყისში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მერი დავითაშვილის სახელობის მოზარდთა და საბავშვო მუსიკის კვირეულის ფარგლებში კონცერტ „ჩემი აფხაზეთის“ გამართვა. ამ კონცერტის მთავარი გმირები ხშირად არიან აფხაზეთის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები და ბავშვები აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებიდან. ამჯერად, სულიერების ცენტრმა კიდევ სხვა დატვირთვა მისცა ღონისძიებას: მათთან ერთად პროგრამაში ჩაერთო სხვა ნორჩი შემსრულებლებიც. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო, რომ გააქტიურებულიყო სასწავლებლის მოსწავლეთა ინტეგრირება ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად: შარშან კონცერტ „ჩემი აფხაზეთის“ მონაწილე იყო სულხან ცინცაძის სახელობის ორი სკოლა - თბილისის ხელოვნებისა და ახალციხის სამუსიკო სკოლები. წლევანდელ კონცერტს კი, შეიძლება ითქვას, ახალი სუნთქვა შესძინა ამ ცოტა ხნის წინ თბილისში, მუსიკოსთა გაერთიანება „რონდო-კლასიკის“ მიერ გამართულ „ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა ღია კონკურსის“ ლაურეატების მონაწილეობამ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონცერტის გახსნისას გაჟღერდა დიდი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის ოთარ

თაქთაქიშილის სახელიც. მან საქართველოს კულტურის მინისტრობის ხანგრძლივი პერიოდის (19 წლის) მანძილზე დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთის კულტურული ცხოვრების განვითარებაშიც (ამაზე ისაუბრა საღამოს წამყვანმა, ამ სტრიქონების ავტორმა), ამიტომაც სიმბოლური იყოკონცერტ „ჩემი აფხაზეთის“ დაწყების წინ მისი გახსენება, ისევე, როგორც შეხვედრას სხვა ხიბლი შესძინა მისი საფორტეპიანო ნაწარმოებების შესრულებამ, რითიც შეკრებილი საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ ცხადი გახდა ამ კომპოზიტორის ხელწერა, ეროვნული სულისკვეთება და ორიგინალური ხედვა (ოთარ თაქთაქიშვილის პიესები - „მთაში“ შეასრულა - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის მეორე კლასის მოსწავლე ქეთინო ტაბიძემ (დამს. პედ. ვეკა სვანიძის კლასი), „გასეირნება ნავით“ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლე ლიზა რაზმაძემ, (პედ. ნატა მაღალაშვილის კლასი).

საერთოდ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედისა დავანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეთა მონაწილეობამ წარმოაჩინა საფორტეპიანო მუსიკის სფეროში როგორც ჩვენი წამყვანი პედაგოგების სახე, ასევე თავად მოსწავლეთა ინდივიდუალური თვისებები (ეს ითქმის კონცერტში მონაწილე კონკურსანტებზე - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭერთა ათწლედის მეორე კლასის მოსწავლე ავთანდილ ვართაგავაზე (დამსახ. პედაგ. დოდო ცინცაძის კლასი), რომელმაც შეასრულა სერგეი პროკოფიევის პიესები : „ტარანტელა“ და „მარში“), ამავე სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე რევაზ მარშანიაზე (პედაგ. ნატა მაღალაშვილის კლასი), შეასრულა შოპენის ეტიუდი # 14, ხოლო სიმებიან საკრავთა სფერო წარმოადგინეს ასევე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭერთა ათწლედის პირველი კლასის მოსწავლე გიორგი შენგელიამ (პედ. გარი ანტონიანი, კონცერტმაისტერი ნინო მაისურაძე), ვანო სარაჯიშვილის სახელობისკონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მე-3 კლასის მოსწავლე ელენე ბერძენიშვილმა (პედ. მანანა ქანთარია) შეასრულა იანშინოვის კონცერტინო და შოთა შანიძის სახელობის მე-20 საორკესტრო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ნინო ქიმაძემ შეასრულა ვაჟა აზარაშვილის „ნოსტალგია“.

მნიშვნელოვანი იყო ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის ღია კონკურსის დამფუძნებლის ქალბატონ მანანა ქანთარიას გამოსვლა, რომელმაც მადლიერება გამოხატა ცენტრის თანადგომისათვის კონკურსის მსვლელობისას, რაც გამოიხატა ირინა ქეცბას მიერ ერთადერთი აფხაზეთელი მონაწილის ფულადი პრემიით დაჯილდოვებაში, აგრეთვე, კონკურსში გამარჯვებული ბავშვების ამ ღონისძიებაში ჩართვის გამო.

ერთ-ერთი კონკურსანტი, ქეთევან ტაბიძე, არის აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის შვილი. კონცერტს ესწრებოდა მისი ბებია - ქალბატონი ნანა ხუბუნაია. მას და მის ოჯახს მჭიდრო კავშირი აქვს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან. ეს ურთიერთობა კი დაიწყო ჯერ კიდევ სოხუმში ცხოვრებისას, როცა ერთ-ერთი ქალიშვილი - სოფო მუსიკალურ სკოლაში განამწესა, იქ გაიცნო მისი ხელმძღვანელი, ქალბატონი სვეტლანა ქეცბა. ქალბატონმა ნანამ ჩვენი ქვეყნის თავსდატეხილი ავბედითი მოვლენების დროს სოხუმში ჟდანოვის ქუჩაზე მამისეული სახლი თავისი ოთხი ქალიშვილით დატოვა და თბილისში გადმოვიდა (ეს იყო 1993 წელს). აქ მისი ოჯახის მეგობრობა ქალბატონ სვეტლანასთან, ხოლო შემდგომში უკვე სულიერებისა და კულტურის ცენტრთან კიდევ უფრო გამყარდა. მაშინ ქალბატონ ნანას უმცროსი ქალიშვილი სალომე ჯიქია თბილისის ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლე იყო. ამ წლებიდან სულიერებისა და კულტურის ცენტრი სალომეს მიღწევების აქტიური პროპაგანდისტი გახდა. ახლა სალომე მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრების სასურველი გასტროლიორია. კონცერტის მონაწილე ქეთინო ტაბიძე კი გახლავთ სალომეს დისშვილი.

ასევე ამაღელვებელი იყო ბათუმის მუსიკალური სკოლის მოსწავლის ნატალია თოლორდავას გამოსვლა. იგი გამორჩეულია იმით, რომ ორ საკრავს ეუფლება - ვიოლინოსა და ფლეიტას. კონცერტზეც ორივე ამპლუაში მოგვევლინა. ნატალია ყურადღებას იპყრობს თავისი მრავალმხრივი გატაცებებით: ციგურაობით, მძლეოსნობით, დიდ მარათონში მონაწილეობით. ისიც აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახიდან არის. მისი ბაბუა ამირან ხურცილავა 1998 წლის გენოციდის დროს აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრიტეს. ნატალიამ ეს გამოსვლა სწორედ ტრაგიკულად დაღუპული ბაბუას ხსოვნას მიუძღვნა.

მოწვეული საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლა, მათი პროფესიული დონის ყოველწლიური ზრდის ხილვა. საერთოდ, დიდმნიშვნელოვანი ფაქტია მუსიკალური განათლების ამ კერის არსებობა, რომლის აღდგენა-გაცოცხლება, დღევანდელ დღემდე მოღწევა კვლავ ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, ბატონ დავით ოკუჯავას და სასწავლებლის პედაგოგების დიდი ძალისხმევის, უანგარო შრომის, შეიძლება ითქვას, გმირული შემართების ნაყოფია. საზოგადოებაც არ არის გულგრილი მათი შედეგების მიმართ (მოგეხსენებათ, რომ არაერთი წარმატებული მუსიკოსი აღუზრდია ამ სასწავლებელს, მაგალითად, ალუდა თოდუა დღეს მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია).

მისასალმებელი იყო სასწავლებლის მე-11 კლასის მოსწავლე მარიზა კვირკვიას (პედაგოგი - ირმა მორალიშვილი, კონცერტმაისტერი - ნესტან ქარდავა) არჩევანი - ალექსი მაჭავარიანის რომანსი „მზეთამზის სახეო“ , ქართული კლასიკური რომანსის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშისა. ამ ნაწარმოებთან შებმა და თავის გართმევა უკვე წარმატებული შედეგისა და მომავალი პერსპექტივის მაუწყებელი უნდა იყოს. იგივე ითქმის სასწავლებლის, ასევე მე-11 კლასის მოსწავლე ელენე ჯანიაშვილის შესახებ, რომელმაც შეასრულა მოცარტის „ალილუია“.

სასწავლებლის ერთ-ერთი ამაგდარი პედაგოგი გახლავთ ალდონა კალანდია, რომლის მოსწავლე თორნიკე მკურნალიძემ (შეასრულა ბახის სავიოლინო კონცერტი, ლა მინორი, პირველი ნაწილი) წარმოაჩინა პედაგოგისა და მოსწავლის თანხვედრა - საშემსრულებლო კულტურის ჩამოყალიბებისა და სტილის დაუფლებისაკენ სწრაფვა.

წლების მანძლზე ამ ღონისძებამ კიდევ ერთი მნიშნელოვანი ტრადიცია შეიძინა, ყოველთვის სრულდება თანამედროვე ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები, მნიშვნელოვანია, რომ ავტორი ესწრება შესრულებას, აფასებს, მიესალმება აუდიტორიას. ამჯერად სასწავლებლის გუნდმა შეასრულა კომპოზიტორ თამარ ვაშაკიძის გუნდები - „მზის საგალობელი“ და „გაზაფხული“. დასასრულ, ქალბატონმა თამარმა გამოხატა დიდი სიხარული, უწინარესად, მისი ნაწარმოებების შესრულების ფაქტით და, რაც მთავარია, საინტერესო ინტერპრეტაციის გამო (მართლაც შთამბეჭდავად გაიჟღერა ამ ნაწარმოებებმა!). გუნდის ხელმძღვანელის, ბატონ დავით ოკუჯავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდი გარჯისა და პროფესიული მობილიზების შედეგად მიაღწია როგორც საგულდაგულოდ დამუშავებული ცალკეული ნიუანსების ერთობას, ასევე, ნაწარმოების დრამატურგიულ მთლიანობას. ამიტომაც სამართლიანად აღნიშნა ქალბატონმა თამარმა, რომ ეს ის შესრულებაა, რომელიც მოტივაციას უქმნის ავტორს. მან სასწავლებელსა და გუნდის ხელმძღვანელს ბატონ დავით ოკუჯავას საზეიმოდ გადასცა თავისი ნოტები და კომპაქტ-დისკი.

თითქმის ყოველ წელს ამ ღონისძიებაზე ჟღერს კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები და ბატონი ვაჟაც ყოველთვის მგზნებარედ გამოხატავს ხოლმე თავის თანადგომას, რაც ოპტიმიზმით აღავსებს ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

სიმბოლური იყო კონცერტის დასასრულიც: ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიადან“ მინდიას პირველი არიის „ხევი მთას მონებს, მთა ხევსა“ გადატანილი ორი ფორტეპიანოსათვის (ვერსიის ავტორი ელენე გაჩეჩილაძე) შეასრულეს ვერიკო და ნინო გერგაულებმა (პედ. მაია ცაავას კლასი), ხოლო ვაჟა აზარაშვილის „სიმღერა სოხუმზე“ სასწავლებლის გუნდის ბოლო ემოციურად დამაგვირგვინებელი ნომერი გახდა.

ღონისძიების ზეაწეული განწყობა გააძლიერა დასასრულს კონცერტის მონაწილეების დასაჩუქრების რიტუალმა ცენტრთან დამეგობრებული ორგანიზაციების: საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ დამფუძნებელ მანანა გეგიძისა და კომპანია „S Room“- ის დირექტორ სალომე სურგულაძის მიერ.

სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე ირინა ქეცბამ კი სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სოხუმის სასწავლებლის დირექტორ დავით ოკუჯავას, ოთარ თაქთაქიშვილის კონკურსის დამფუძნებელ მანანა ქანთარიას, ასევე, ზემოთ ჩამოთვლილ ცენტრთან დამეგობრებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მონაწილენი და, განსაკუთრებით, დამსწრე საზოგადოება უკვე ელის შემდეგ წელიწადს, ივნისის თვეს - ტრადიციულ კონცერტს „ჩემი აფხაზეთი„“.

თამარ წულუკიძე
მუსიკოლოგი

დათა ბულუას სახელობის პოეზიის კონკურსი „სიჭაბუე და ლექსი ერთია“

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი
საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირი
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

გამარჯვებულთა სია

მე-2 პრემია - „დამიენი“ (ზუგდიდი) - ქეთი ნაჭყებია
მე-2 პრემია - „აპრილი“ (სოხუმი) - გიორგი ბალახაშვილი
მე-3 პრემია - „ჰერეთი“ (მარნეული) - ზაზა სუყაშვილი
მე-3 პრემია - „იმერელი“ (თბილისი) - თორნიკე კომლაძე
მე-3 პრემია - „ესებონი“ (სოხუმი) - გიორგი ესებუა

პრიზიორები

1. „ჰერეთი“ (მარნეული) ზაზა სუყაშვილი - **საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირი**
2. „ანასტასია გრაური“ (თბილისი) ლუკა გომარელი - **სოხუმის სახელმწიფო უნივერტიტეტიტი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი**
3. „ოლეანდრები“ (გულრიფში) ვენერა ქალდანი - **ოჯახის პრიზი**
4. „მინი-მინი“ (გალი, სოფ. წარჩე) ბექა ახვლედიანი - **საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, აფხაზეთის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი**
5. „მზისგულა ბაია“ (გალი, სოფ. ოტობაია) ივდით კვიტია - **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
6. „სამყარო“ (თბილისი) ნინო ჩინჩალაძე - **ჯგუფი „კონკორდი“**
7. „იბერიელი“ (ბათუმი) ზურა მურვანიძე - **საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი**
8. „დეკრეკენდე“ (თბილისი) გვანცა კალანდაძე - **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო**
9. „ნიკ ოლო“ (ოზურგეთი) ნიკოლოზ შაფაქიძე - **აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი**
10. „წვიმა“ (თბილისი) ანა კანდელაკი - **აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი**
11. „სამასმეერთე არაგველი“ (თბილისი) ბექა ზამთარაძე - **აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი**
12. „გიო მარი“ (თბილისი) გიორგი კინწურაშვილი - **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო**

მაყურებლის პრიზი

ზაზა სუყაშვილი
ქეთი ნაჭყებია

მწერალთა „პირადი სიმპათიის პრიზი“

არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე) - თორნიკე კომლაძე („იმერელი“)

ბაღათერ არაბული - გიორგი ბალახაშვილი („აპრილი“),ქეთი ნაჭყებია („დამიენი“)

მარინა თექთუმანიძე -ლიზი ბუდაღაშვილი („მარტელი“), მარიამ ცერცვაძე („ქამელეონი“), ზაზა სუყაშვილი („ჰერეთი“)

ელდინო საღარაძე - ზაზა სუყაშვილი („ჰერეთი“)

გურამ ოდიშარია - ვენერა ქალდანი („ოლეანდრები“), ნიკა ფუტკარაძე („სერაფიმე“).

საეკლესიო კალენდარი

1 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-10 შვიდეულის ოთხშაბათი - ღირ. სერაფიმე საროველის ნაწილთა პოვნა (1903წ.);
2 აგვისტო (ხუთშ.) - წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელის ხსენება (IXს. ქრისტეს წინ);
- წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) ხსენება (1907წ.);
- სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ილია II** ანგელოზის დღე.

4 აგვისტო (შაბ.) - მოც. სწორის მენელსაცხებლის მარიამ მაგდალინელის ხსენება (Iს.);
5 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-10 კვირა- მოწამე ტროფიმესხსენება (284-305)
6 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-11 შვიდეულის ორშაბათი - ღირ. ილარიონ თუალელის ხსენება (XIს.);
7 აგვისტო (სამშ.) - მიძინება მართალი ანასი, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დედისა;
9 აგვისტო (ხუთშ.) - დიდმოწ. პანტელეიმონ მკურნალის ხსენება (305წ.);
11 აგვისტო (შაბ.) - მოწ. ევსტათი მცხეთელის ხსენება (589წ.);
12 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-11 კვირა - აღმს. ცოტნე დადიანის ხსენება;
13 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-12 შვიდეულის ორშაბათი - ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანების წინა დღესასწაული;
14 აგვისტო (სამშ.)- ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანება;
- მარიამობის მარხვის დასაწყისი! **წყლის კურთხევა** (მცირე აიაზმა).

15 აგვისტო (ოთხშ.) - პირველმოწამე მთავარდიაკონ სტეფანეს ნაწ. აღმოყვანება (დაახ. 428წ.);
16 აგვისტო (ხუთშ.) - პირველმოწამე რაჟდენის ხსენება (457წ.);
- მარაბდის ომის გმირთა: ცხრა ძმა ხერხეულიძის, დედისა და დისა მათისა და მათთან 9000 ქართველთა, მხედართა და მხედართმთავართა ხსენება;

17 აგვისტო (პარ.) - შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250წ.);
19 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-12 კვირა - **ფერისცვალება** (ხსნილია თევზით);
21 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-13 შვიდეულის სამშაბათი - ღირ. ექვთიმესი, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისა;
22 აგვისტო (ოთხშ.) - მოც. მატათას ხსენება (დაახ. 63წ.);
26 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-13 კვირა - ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662წ.);
27 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-14 შვიდეულის ორშაბათი:
- მღვდელმოწამე ნაზარის (ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის) ხსენება(1924წ.);
- ყოველთა ახლმოწამეთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს ურწმუნოთაგან წამებულთა ხსენება (XX).

28 აგვისტო (სამშ.) - მარიამობა (ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინება);
- სიონობა;
- ღმრთისმშობლის ხატთა თაყვანისცემა.

29 აგვისტო (ოთხშ.) - წამოყვანება იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატისა ედესით კონსტანტინეპოლს (944წ.);
- ანჩისხატობა;
- მამა ანტონობა მარტყოფში.

30 აგვისტო (ხუთშ.) - წმ. ტბელ აბუსერიძის (ჰაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფის) ხსენება;
31 აგვისტო (პარ.) - ღირ. ქრისტოდულესი, ოსად წოდებულის, ფილოსოფოსის) ხსენება (XIIს.).

თემაზრაღლუჯი სოგუმი ბუმინ, ღლეს, ნჟაღ

ზრაღლიპიაღქაპეული ღლესაწოგაული

ხიხუმის საქართველოს ჭანჭახი სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

ISSN 2298-0865

9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: ირინა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 300 ცალი